ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3325330

ნომერი: AR1513847

თარიღი : 13.06.2017

გაცემის თარიღი : 19.06.2017

გაცნობის თარიღი : 19.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ კუჭუხიძე პ/ნ 01010000254
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 11 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 13 ივნისის #AR1513847 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #140-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.076) მრავალფუნქციური შეობა-ნაგებობის (საოფისე, საცხოვრებელი) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ,რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1 (სსზ-1)-სა და საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6)-ში (იხილეთ დანართი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1 (სსზ-1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; შესაძლებელია აღნიშნული წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის. საცხოვრებელ ზონა 6 (სზ–6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ხსენებულ ზონაში ასევე დასაშვებია აღნიშნული წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

<u>რადგან წარმოდგენილ მიწის ნაკვეთს მიმდებარე რეგისტრაციების გათვალისწინებით არ გააჩნია საზოგადოებრივი სივრცე, საკითხის განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა ყველა სამეზობლო მიჯნიდან და საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი („რენდერის“, მოცულობის ელ. ვერსია).</u>

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები სსზ-1:

კ-1

0,5 * / 0,7

კოეფიციენტი

კ-2

3,5

კოეფიციენტი

კ-3

0,2

კოეფიციენტი

საცხოვრებელი სიმჭიდროვე

–

ერთეული/ჰა

მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები

მინიმალური ფართობი

600 / 700 *

კვ.მ

მინიმალური სიგანე

15 / 20 *

მეტრი

მინიმალური სიღრმე

25 / 30 *

მეტრი

შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე

–

მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები სზ-6:
კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
2,5
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
600 / 700 *
კვ.მ
მინიმალური სიგანე
15 / 20 *
მეტრი
მინიმალური სიღრმე
25 / 30 *
მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 20 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 13 ივნისის #AR1513847 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.